ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №3

21.04.2022 წელი

დაბა ქედა,

სხდომა დაიწყო 15:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 15:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
შორენა კარანაძე - კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი;
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ზაზა დავითაძე.
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

კომისიის თავმჯდომარე სანამ დღის წესრიგს წარუდგენდა კომისიის წევრებს მანამ გააცნო საკითხი, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის №3 სხდომა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის №g-95.95220841 განკარგულებით ჩანიშნული იყო ზეპირი მოსმენის სხდომა 2022 წლის 22 აპრილს, ვინაიდანაც 22 აპრილი არის უქმე დღე (წითელი პარასკევი) საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის №3 სხდომა ჩატარდება 2022 წლის 21 აპრილს.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

21.04.2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
5	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
6	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
7	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	
8	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. ,,ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის ტერიტორიულ საზღვრებში ადგილობრივი მუნიციპალური რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცებისა და სამგზავრო ტარიფის განსაზღვრის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულისამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

მოისმინეს: ,,ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის ტერიტორიულ საზღვრებში ადგილობრივი მუნიციპალური რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცებისა და სამგზავრო ტარიფის განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის №g-95.95220841 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის ტერიტორიულ საზღვრებში ადგილობრივი მუნიციპალური რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცებისა და სამგზავრო ტარიფის განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე და განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2022 წლის 21 აპრილი დღის 15 საათამდე.

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტში (წერილის ნომერი: 95-95220942, 04.04.2022 წელი), საიდანაც მოვიდა დასკვნა (წერილის ნომერი: 03-95221032-95, 13.04.2022 წელი) და ამ დასკვნის შესაბამისად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტს არანაირი შენიშვნები არ გააჩნია.

საკითხის განხილვის შემდეგ კომისიის წევრმა შორენა კარანაძემ გამოთქვა აზრი, რომ საზოგადოების მეტად ინფორმირებისათვის სასურველია რამოდენიმე ლოკაციაზე ტრაფარეტს სახით გამოეკრას მარშუტის გადაადგილების წერტილები და დრო. რა დროს რომელი მიმართულებით იმოძრავებს .

კომისიისა წევრებს საკითხის მიმართ სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი საკრებულოს სხდომაზე გატანის მიზნით წარმოდგენილი პროექტით კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ,,ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის ტერიტორიულ საზღვრებში ადგილობრივი მუნიციპალური რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცებისა და სამგზავრო ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულისამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

2. საკითხი ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 15:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ციური ზაქარაძე